შეხვედრები

2007 წლის 30 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საშობაო და საახალწლო შეხვედრაზე მიიწვია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები მეუღლეებთან ერთად. მოწვეულთ მიესალმა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თ.გამყრელიძე. მან პატრიარქს საჩუქრად მიართვა წმინდა დავით აღმაშენებლის ვერცხლის ხატი, რომელიც შექმნა აკადემიკოსმა თ.სანაძემ. სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსი რ.მეტრეველი და აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზ.აბაშიძე. უწმიდესმა აკადემიის წევრები დაასაჩუქრა საპატიო სიგელითა და წიგნით „ნათელი ქრისტესი. საქართველო“.

1-5 მარტს რუსეთის საპატრიარქოს მიწვევით მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თ.გამყრელიძე და აკადემიკოსი რ.მეტრეველი. ვიზიტი მიეძღვნა „რუსული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“-ს XIII ტომის გამოცემას, რომელიც არსებითად საქართველოს ეხება და ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის საკითხებს აშუქებს. იგი შედგენილია ქართველ და რუს მეცნიერთა მონაწილეობით. მოსკოვის ქრისტე-მაცხოვრის წმინდა ტაძარში გაიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრი-

არქის ალექსი II-ის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ერთობლივი წირვა. მოსკოვის ქრისტე-მაცხოვრის წმინდა ტაძარში საზეიმო ტრაპეზზე სიტყვებით გამოვიდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II, აკადემიკოსი თ.გამყრელიძე, მოსკოვის მერი ი.ლუჟკოვი, აკადემიკოსი ევგ. პრიმაკოვი და სხვები.

7 თებერვალს გაიმართა აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია.

16 თებერვალს აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნიკო ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე გაიმართა მისი რჩეული შრომების სამტომეულის: 1. „ესთეტიკის საკითხები“, 2. „ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის“ და 3. „კულტურა და ღირებულებები“ პრეზენტაცია და ნაჩვენები იქნა დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმი „ნათელი იგი. . . “.

23 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკად. თ.გამყრელიძემ მიიღო აკად. ი.ვეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე ჩამოსული უცხოელი მეცნიერები ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, თურქეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, შვეიცარიიდან, ჩინეთიდან.

იმავე დღეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ა.ლომაია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თ.გამყრელიძე, ავსტრიის მეც-

ნიერებათა აკადემიის ექს-პრეზიდენტი პროფესორი ჰერ-ბერტ მანგი და საიუბილეო დღეებზე ჩამოსული სხვა უცხოელი სტუმრები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში 24 მაისს გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო საღამო, მიძღვნილი აკადემიკოს ილია ვეკუას დაბა-დების 100 წლისთავისადმი. შესავალი სიტყვით გამო-ვიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრო-ბის თავმჯდომარე მ.აკიშბაია. მისასალმებელი სიტყვით დამსწრეებს მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ერო-ვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა თ.გამყრე-ლიძემ.

27 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბი-ლეო კრებულის პრეზენტაცია.

29 ოქტომბერს საქართველოს ისტორიკოსთა ეროვ-ნულმა კომიტეტმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-ნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გამართა ქართვე-ლი ისტორიკოსის თამარ გამსახურდიასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის პრეზენტაცია.

31 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-ნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფი-ლებამ ჩაატარა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერ-ვატორიის დამაარსებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სა-იუბილეო სხდომა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკად. ჯ.ლომინაძემ, მოხსენება – „ევგენი ხარაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გააკეთა პროფ. შ.საბაშვილმა.

19 დეკემბერს მეცნიერების ისტორიის საქართვე-ლოს საზოგადოებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-

ნული აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართა მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომას უძღვებოდა პროფ. რ.ჩიქოვანი. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ტექნიკური უნუვერსიტეტის რექტორი, ტექნ. მეცნ.დოქტ. ა.მოწონელიძე. მოხსენებით „აჩქარებულად ფართოებადი სამყარო – პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“ გამოვიდა გ.ნიკობაძე. მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მეცნიერების ისტორიის დარგში შექმნილი შრომებისათვის პრემია მიენიჭა ტექნ.მეცნ.დოქტ. ლ.მგალობლიშვილს. პრემიით აღინიშნა ჟურნალისტ თ.ებანოიძის მოღვაწეობა პრესაში მეცნიერების პროპაგანდისათვის. ლაურეატებს პრემიები გადასცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა აკადემიკოსმა ო.ნათიშვილმა. ლაურეატებს გადაეცათ, აგრეთვე, ვერცხლის მედლები, რომლებიც შექმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა თ.სანაძემ.